განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა
სადოქტორო პროგრამა "ისტორია"
საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი:
18-10-2019

ანგარიშის წარდგენის თარიღი
28-10-2019

თბილისი
2019

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს უნივერსიტეტი (შემოკლებით „სუ“) შპს
უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის დასახელება	ისტორია
განათლების საფეხური	სადოქტორო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	0222
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ოლივერ რაისნერი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თეიმურაზ პაპასკირი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	კუპრაძე, თეონა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	

აკრედიტაციის ანგარიშის რეზიუმე

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**
  საქართველოს უნივერსიტეტში (სუ) "ისტორიის" სადოქტორო პროგრამას პირველად აკრედიტაცია 2014 წლის 24 დეკემბერს მიენიჭა (გადაწყვეტილება #294) ხუთი წლის ვადით. პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტს 45 ECTS (25%) და კვლევით კომპონენტს 135 ECTS (75%) მოცულობით. სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია ისტორიის სფეროში მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი მკვლევარ-ისტორიკოსების მომზადებაზე, რომლებიც მისი დამთავრების შემდეგ შეძლებენ წარმატებით განახორციელონ ინდივიდუალური კვლევა და სხვადასხვა საქმიანობა სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ეთიკური პრინციპებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ მიზნებით უნდა ხელმძღვანელობდნენ პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები. ჯერჯერობით ექვსი სტუდენტია ჩარიცხული პროგრამაზე, აქედან ერთმა შეაჩერა თავისი კვლევა და ერთიც დასრულდა. მეორე სადოქტორო დისერტაცია დასრულებულია და დაცვის პროცესი მიმდინარეობს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა**
  ჩვენ განვახორციელეთ სააკრედიტაციო ვიზიტი უნივერსიტეტში პარასკევს, 2019 წლის 18 ოქტომბერს 10:00 საათიდან 19:30 საათამდე. ჩვენ ვესაუბრეთ ყველა დაინტერესებულ მხარეს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დეკანს, თინათინ ღუდუშაურს, ექვს აქტიურ დოქტორანტისა და კურსდამთავრებულთაგან ორს, სამი პროგრამის პასუხისმგებელი პირებისგან ორს (ცირა ჩიკვაიძეს, ზურაბ ბატიაშვილს), ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალს, ზოგიერთ ხელმძღვანელს, ყველა ლექტორს, რომელიც ასწავლის პროგრამაზე და ჯერ-ჯერობით ერთადერთ კურსდამთავრებულს. ჩვენ, ასევე, ვეწვიეთ ბიბლიოთეკას, ბუფეტს და ზოგიერთ საკლასო ოთახს (იხილეთ ჩვენი ადგილზე ვიზიტის გრაფიკი). მთავარ დაინტერესებულ პირებთან დისკუსიებისას გამოჩნდა პროგრამის გაგრძელებისა და შემდგომი გაუმჯობესებისადმი მომართული დიდი ძალისხმევა, ბოლო დროს დანერგილი ცვლილებებით და თვითშეფასების დემონსტრირებით. სუ-ის მენეჯმენტს შეუძლია დაეყრდნოს ძალიან გამოცდილ ხარისხის უზრუნველყოფის გუნდს, კვალიფიციურ ლექტორებსა და ისტორიკოსებს. ისტორიის სფეროში არსებული ბიბლიოთეკის ფონდის გარდა, რომელიც მოიცავდა ძირითად ლიტერატურას ქართულ და ინგლისურ ენებზე, სპეციალიზირებული საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურა წარმოადგენდა იშვიათობას. არავის უხსენებია ონლაინ მონაცემთა ბაზების გამოყენება კვლევის განახლებისთვის. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, ჩანდა რომ კარგად იყო განვითარებული.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის რეზიუმე**
  საერთო ჯამში, პროგრამა შესაბამისობაშია სადოქტორო დონის სტანდარტებთან, მაგრამ აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში საჭიროებს სერიოზულ ძალისხმევას ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. ზოგადი კურსები მაღალ დონეზეა და ითვალისწინებს ისტორიის დარგს მიღმა საჭირო მნიშნელოვან უნარებს, მაგალითად, კურსი კვლევის პროექტის მართვაზე. ხელმძღვანელებს იშვიათად, ხოლო დოქტორანტურის სტუდენტებს არ აქვთ გამოქვეყნება საერთაშორისო, რეცენზირებად ჟურნალებში. სუ აგრძელებს ისტორიის სფეროში კარგად შემუშავებულ, მაგრამ იზოლირებულ და დამოუკიდებელ კვლევას, რომელიც ჯერ კიდევ არ ეხმიანება 21-ე საუკუნის დისციპლინურ მიმდინარეობებს. რადგანაც, ზოგადად სადოქტორო დისერტაცია წყაროზე-დაფუძნებული ნაშრომია, საერთაშორისო კვლევის გამოყენება, კონცეფციები და მიდგომები ისტორიის სფეროდან გამოტოვებულია. ამიტომ, სადოქტორო კვლევის მთავარი კონტრიბუცია, ძირითადად, ფოკუსირებულია არსებული,

ან ახალდაწერილი წყაროების ანალიზზე. სადოქტორო პროგრამაზე პასუხისმგებელმა პირმა ახსენა ახალი წყაროების და დივერსიფიცირებული მიდგომების საკითხები (ზეპირი, სოციალური, ვიზუალური, გლობალური ისტორია და ა.შ.). თუმცა, ჯერჯერობით, კვლევის პრაქტიკაში პროაქტიული ზომების გამოყენება არ ფიქსირდება. მკვლევარებს შეუძლიათ, უფრო აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო საქმიანობაში (განსაკუთრებით პუბლიკაციები, კონფერენციები, კვლევითი კონსორციუმები). ჯერჯერობით უცნობია, როგორ უნდა მოხდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაცია მომდევნო წლებში.

- **რეკომენდაციების რეზიუმე**

1.1.1 სადოქტორო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია უნდა იყოს მთავარი სამომავლო ძალისხმევა. იგი მოიცავს უცხოელი მკვლევარების ჩართვას ზედამხედველობის პროცესში, ასევე საერთაშორისო, რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნების მოთხოვნას. ამ გამოცდილების გარეშე, კურსდამთავრებულები ვერ იქნებიან კონკურენტუნარიანები საერთაშორისო დონეზე.

1.1.2 საერთაშორისო ექსპერტების გარდა, არსებული ხელმძღვანელები უნდა იყვნენ ჩართულნი არა მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოში, არამედ სადოქტორო პროგრამის შემუშავებაში. ეს ასევე ეხება ამჟამინდელ ან ყოფილ სტუდენტებს.

1.2.1 პროგრამის მენეჯმენტი უნდა ისწრაფოდეს საქართველოს უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის პროცესში საერთაშორისო მკვლევარების უფრო მეტი ჩართულობისკენ. ამგვარად, დოქტორანტებისთვის ხელმისაწვდომი გახდება საერთაშორისო კვლევითი ლიტერატურა და გაცვლითი პროგრამები, რათა დააგროვონ გამოცდილება შესაბამის მიმართულებებში.

2.2.1 დაამატეთ დოქტორანტთა ხელმძღვანელები პროგრამაში, მაშინაც კი, თუ ისინი არ მონაწილეობენ რაიმე კურსების სწავლებაში; კვლევის კომპონენტში მათი წვლილი გადამწყვეტია მთლიანი პროგრამის წარმატებისთვის.

2.3.1 უზრუნველყავით, რომ სტუდენტები გაეცნონ საკმარისი რაოდენობის კრედიტების მოცულობის (არა მხოლოდ დისციპლინური კურსებისთვის გამოყოფილი 10 ECTS-ით) ისტორიულ კვლევებს არა მარტო რეგიონულ ისტორიაზე, არამედ ისტორიულ მეთოდოლოგიაზეც, უნდა გაიზარდოს ისტორიოგრაფიული საკითხების შესახებ კურსების წილი ან აკადემიური წერის და სხვა მეთოდოლოგიური კურსები უნდა შეუსაბამოთ ისტორიული კვლევის მოთხოვნებს.

2.3.2 საერთაშორისო ისტორიოგრაფიის ერთ არჩევით კურსს, რომელიც არ არის დაკავშირებული უშუალოდ შესაბამის რეგიონებთან, ასევე შეუძლია უზრუნველყოს ინფორმაცია საერთაშორისო სტანდარტების, მიდგომების და კვლევის მეთოდების ან ეპისტემოლოგიური საკითხების ისტორიის შესახებ (ისტორიის თეორია). ეს ხელს შეუწყობს ისტორიის კვლევის მეთოდების სრულად ფოკუსირებას მეთოდებზე და მათ გამოყენებას კვლევის პრაქტიკაში.

2.4.1. პროგრამის შემმუშავებლები, ჩართული ხელმძღვანელები და ლექტორები უნდა უზრუნველყოფდნენ, რომ სასწავლო პროგრამის კონკრეტული კურსით განსავითარებელი უნარები სათანადოდაა შესწავლილი და შეფასებული, ისევე, როგორც კვლევითი კომპონენტი (კვლევის პრეზენტაცია საერთაშორისო

კონფერენციებზე, პუბლიკაციები რეფერირებად აკადემიურ ჟურნალებში, წვლილი უმაღლესი განათლების სახელმძღვანელოების მომზადებაში, (თანა) სწავლებაში უნივერსიტეტში და სხვ.).

1.5.2 უნივერსიტეტისა და პროგრამის მენეჯმენტი უნდა დაეხმაროს ლექტორებს და ხელმძღვანელებს დოქტორანტების პროფილის შესაბამისად სწავლებისა და სწავლის უფრო მრავალფეროვანი მეთოდების შემოღებაში. ამ მიზნით, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომებისათვის, მათ შეუძლიათ ჩართონ თანამედროვე სწავლების მეთოდების სპეციალისტები.

4.1.1 ყველა ხელმძღვანელი უნდა შეიყვანოთ პროგრამის პერსონალის სიაში.

4.2.1 სუ-ს მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს, რომ ისტორიაში სადოქტორო პროგრამის ძირითად პერსონალს ხელი შეეწყოს და მიეცეს თავისი კვლევით საერთაშორისო ისტორიული საზოგადოების დონეზე მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. ამის გარეშე, მათ გაუჭირდებათ, რომ გააცნონ თავიანთ დოქტორანტებს საერთაშორისო კვლევის სტანდარტები და ქსელები, როგორც ეს მოცემულია პროგრამის მიზნებში.

5.2.1 უცხოურ (ევროპა და აშშ) სამეცნიერო საზოგადოებაში ჩართული, დარგის საერთაშორისო ექსპერტების მიერ განხორციელებული გარე შეფასება, ხელს შეუწყობს პროგრამის სრულყოფილ ფორმის, დოქტორანტებისა და ხელმძღვანელების საზოგადოების ჩამოყალიბების გზების მოძიებას, რომლებიც იმუშავებენ საკვლევ თემებზე თანამშრომლობისა და კომუნიკაციის უწყვეტი პროცესის მეშვეობით. ეს ასევე გამოსადეგი იქნება სამიზნე ნიშნულების დასახვის პროცესში, ასევე სკოლის/უნივერსიტეტისთვის კვლევის განვითარების სტრატეგიის აგებაში.

- **რჩევების რეზიუმე**

3 ისტორიის სადოქტორო პროგრამის მდგრადი და წარმატებული განხორციელებისთვის, სასურველია საქართველოს უნივერსიტეტმა წერილობით ჩამოაყალიბოს პროგრამის როლი (სხვების გვერდით) უნივერსიტეტისა და ზოგადად მისი კვლევითი დღის წესრიგისათვის. მსგავსი სტრატეგიული დოკუმენტი დაგეხმარებათ კვლევითი პრიორიტეტების გამოვლენაში, რათა გაძლიერდეს მისი, როგორც კერძო უნივერსიტეტის პოზიცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისათვის.

1.2.2 სადოქტორო პროგრამის შედეგები შეიძლება ჩამოყალიბდეს ისე, რომ მათი მიღწევის შეფასება შესაძლებელი გახდეს მაქსიმალურად ობიექტურად (მაგ. სტატიების გამოქვეყნება საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში, სამეცნიერო ჟურნალებში წიგნების მიმოხილვის გამოქვეყნება, საერთაშორისო კვლევით კლასტერებში ან ასოციაციებში ჩართვა და ა.შ.). სადოქტორო პროგრამის შედეგები შეიძლება შეიცავდეს მის ჩამონათვალში უფრო მეტ თანამშრომლობით ფორმებს, როგორებიცაა საექსპორტო მიმოხილვები, ეროვნული და საერთაშორისო კვლევით ჯგუფებში მონაწილეობა, საჯარო დისკუსიები და ინსტიტუციონალურ პარტნიორებთან სტრუქტურირებული თანამშრომლობა.

2.2.3 შეფასების კრიტერიუმები უნდა დივერსიფიცირდეს და უფრო მეტად ფოკუსირდეს

კონკრეტულ უნარებზე, არა მხოლოდ პრეზენტაციებზე, არამედ სწავლების ნიმუშებზე, აკადემიური წიგნების მიმოხილვაზე, ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებაზე და ა.შ.

2.2.4 მენეჯმენტს, ლექტორებს, ყოფილ და ამჟამინდელ სტუდენტებს შეეძლოთ ერთობლივად მოეხდინათ გავლენა უფრო მეტად თანამშრომლობითი მიდგომების დანერგვაზე და ამგვარად წაეხალისებინათ მეტი კომუნიკაცია ინდივიდუალური კვლევითი პროექტების მიღმა სხვა დოქტორანტებთან, რაც მათ მოამზადებდა საერთაშორისო მკვლევარებთან ინტერაქციისთვის და ამ მხრივ, გაიზრდებოდა სწავლის ინტერესი საქართველოს ისტორიისადმი.

2.3.3 სპეციფიკურ ისტორიულ კვლევებთან დაკავშირებული, კიდევ უფრო სპეციფიკური საერთაშორისო ლიტერატურა უნდა დაემატოს სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურას.

2.3.4 სუ-მ შესაძლოა გაითვალისწინოს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების (ERASMUS+, DAAD, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი) მეტად გამოყენების საკითხი, პროგრამაში უცხოელ ლექტორთა ან უცხოური სასწავლო კურსების ქართველი კურსდამთავრებულების პროგრამაზე მოწვევით.

2.4.2 სადოქტორო პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს დოქტორანტების აქტიურ ჩართულობას კვლევით კოლაბორაციებში, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო პარტნიორ დაწესებულებებთან.

2.4.3 რადგან სუ ასევე უზრუნველყოფს საგანმანათლებლო კურსებს, მან უნდა განიხილოს სტრუქტურირებული თანამშრომლობის საკითხი მის საგანმანათლებლო სპეციალისტებთან, რათა მოახდინონ ლექტორებისა და დოქტორანტების, სილაბუსებისა და სწავლების პრაქტიკის გადახედვა მათ გასაუმჯობესებლად, რასაც არ აქვს ხანგრძლივი ტრადიცია ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში.

2.6.1 ამ დრომდე, დოქტორანტები მეტწილად, თავიანთ ხელმძღვანელებთან ერთად მუშაობენ. საქართველოს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა იძლევა საშუალებას, რათა დაინერგოს ახალგაზრდა მკვლევარების ჯგუფური მუშაობა, სადაც ისინი შეძლებენ ერთმანეთის დახმარებას და ამგვარად, ისწავლიან თანამედროვე აკადემიური თანამშრომლობის საფუძვლებს.

3.1.1 უზრუნველყავით და პროაქტიულად გაზარდეთ ისტორიის დარგის შესაბამის და უახლეს საერთაშორისო კვლევით ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობა.

3.2.1 სადოქტორო პროგრამის მენეჯმენტმა შეიძლება განიხილოს დოქტორანტის პროგრესის რეგულარული შეფასებისა და შემდეგი ნაბიჯების დაგეგმვისათვის საანგარიშო ფორმატის შემოღება. დოქტორანტის პროგრესის დასადგენად ეს ოფიციალური ანგარიშგება შეიძლება განხორციელდეს ყოველ სამ, ექვს ან თორმეტი თვეში.

4.1.2 ისტორიის სფეროს ყველა თანამშრომელი აქტიურად უნდა იყოს ჩართული პროგრამაში და მის განვითარებაში.

4.3.1 სუ-ს სადოქტორო პროგრამას შეეძლო მიეწოდებინა ინგლისურ ენაზე მეტი კვლევითი ლიტერატურა, ელექტრონული ფორმით მაინც და უზრუნველეყო, რომ დოქტორანტების მიერ ხელმისაწვდომი ელექტრონული მონაცემთა ბაზების თავიანთი კვლევისთვის გამოყენება. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ლიტერატურის რეგულარული

მიმოხილვის ჯგუფის მიერ, რომელსაც თავად დოქტორანტები უხელმძღვანელებენ და ასევე, უზრუნველყოფილ იქნეს ისტორიის დისციპლინისათვის შესაბამისი აქტუალური ლიტერატურის რეგულარულად შეძენა.

4.4.1 სუ-ს და სკოლის მენეჯმენტმა უნდა განიხილოს, თუ რა გზებით შეუძლიათ თავიანთი აკადემიური პერსონალის მხარდაჭერა, რათა ისინი უფრო აქტიურად ჩაერთონ კვლევის დაფინანსების მოპოვებაში, რაც, რა თქმა უნდა, საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად საკუთარი კვლევის დღის წესრიგის შემუშავებას იდეალურად უკავშირდება .

5.1.1 პროგრამის გუნდი უნდა შეეცადოს ხარისხის უზრუნველყოფის გუნდთან ერთად შექმნას თვითშეფასების ეფექტური გზა, რათა გაიზომოს მათი პროგრესი ერთობლივად შემუშავებული ინდიკატორების მეშვეობით.

5.3.1. სასურველია განიხილოთ სტუდენტთა წარმომადგენლობა პროგრამის ყველა შესაბამის ორგანოში, განსაკუთრებით აკადემიურ და სადამკვირვებლო საბჭოში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

კვლევის მხარდაჭერის სტრუქტურის არსებობა, რომელიც დაინერგა 2019 წელს, კვლევითი ძალისხმევის დაფინანსების კონკრეტული საგრანტო სქემით, ძალიან კარგი ხელსაწყოა დოქტორანტების წასახალისებლად, რათა ჰქონდეთ პროგრესი მათ კვლევებში. დოქტორანტები პროაქტიურად უნდა წახალისდნენ, ამ შესაძლებლობის გამოსაყენებლად. სამეცნიერო და მრჩეველთა საბჭოს შემოღება თითოეული ინდივიდუალური დოქტორანტისთვის წარმოადგენს ინოვაციურ მიდგომას გუნდურ მუშაობაზე ზედამხედველობის გასაუმჯობესებლად. სადოქტორო პროგრამაზე მხოლოდ ექვსი სტუდენტით, ეს უზრუნველყოფს ზედამხედველობაზე მორგებულ სტრუქტურულ გარემოს, თუკი აქტიურად იქნება ჩართული პერსონალი არა მარტო ისტორიის დარგიდან. სუ-მ და ხელმძღვანელებმა აჩვენეს, რომ მათ შეუძლიათ საჭიროებისამებრ პროგრამაში გათვალისწინებული სპეციალური დახმარების მობილიზება (მაგალითად, სპეციალური ენის კურსი თურქულში, ემრე იუნუსის ცენტრში). მცირე გრანტები კვლევის ჩასატარებლად, რაც სტუდენტებს მისცემს თავიანთ კვლევებზე ფოკუსირებისა და დარგის კვლევების ჩატარების საშუალებას.

- **აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ხელახალი აკრედიტაციისთვის სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა გაუმჯობესდა აკრედიტაციის პირველი ხუთი წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე (სამეცნიერო საბჭოს დანერგვა, კვლევის პროექტის მართვა და IT კურსები). გარდა ამისა, დაინერგა კვლევის დაფინანსების წამახალისებელი სტრუქტურა, რათა სტუდენტებს მიეცეთ საშუალება მიიღონ დაფინანსება საჭირო საველე მისიებისთვის, ლიტერატურისა თუ პუბლიკაციებისთვის. დოქტორანტურის სტუდენტების ფინანსური სტრესის გათვალისწინებით, ეს ნამდვილად დიდი გაუმჯობესებაა ორიგინალური კვლევისთვის. ამ დროისთვის, ექვსი სადოქტორო

კვლევიდან მხოლოდ ორი დასრულდა (ერთს კი სტატუსი აქვს შეჩერებული ფინანსური მიზეზების გამო). ჩვენ შევძლებდით შეგვეფასებინა ორივე, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს ისტორიასთან. ორივე არ შეიცავს საერთაშორისო კვლევითი ლიტერატურის შესახებ ჩანაწერებს, უფრო რთული ისტორიოგრაფიის თეორიულ ან კონცეპტუალურ მიდგომებს.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები განსაზღვრავს იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულებში. პროგრამის მიზნები ასევე ახდენს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შესატანი წვლილის ილუსტრირებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის გაცხადებული ამოცანებია „მაღალკვალიფიციური სპეციალისტების“ მომზადება პოლიტიკის მეცნიერებათა ყველა ქვე-დარგში. ეს ითვალისწინებს უნარების გამომუშავებას დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის ჩასატარებლად და საქართველოში ახალი ცოდნის წარმოების ხელშესაწყობად, მის (კვლევის) ინტერნაციონალიზაციას და ინტეგრაციას საერთაშორისო აკადემიურ წრეებში. იგი ასევე მიზნად ისახავს, მოამზადოს და ასწავლოს დარგის ცალკეული დისციპლინები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და იყოს კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარზე. პროგრამის მიზნები მკაფიო, რეალისტური და მიღწევადია. ამასთან, ისინი დამყარებულია ისტორიის ტრადიციულ მიდგომებზე, რომლებიც ორგანიზებულია გეოგრაფიული თვალსაზრისით (საქართველო, ახლო და შუა აღმოსავლეთი, ევროპა და ამერიკა) და არ უკავშირდება ისტორიოგრაფიის უახლეს მიღწევებს. სადოქტორო პროგრამა ასწავლის იმ აუცილებელ უნარებსა და ცოდნას, რომელიც საჭიროა საჯაროდ დაფინანსებულ კვლევით ერთეულებში, მუზეუმებში ან უსდ-ებში დასაქმებისათვის. ისტორიის განათლების სფეროები სკოლებში, ტურისტულ სექტორში ან მედიის სექტორში არ იყო გათვალისწინებული, როგორც დასაქმების პოტენციური დარგები. ამასთან, მცირე ან არანაირი ყურადღება ეთმობა ”ცოდნის მცირე ინსტრუმენტებს”, როგორებიცაა წყაროების ანალიზის, რეცენზირების, ან წიგნის მიმოხილვების საკითხები, რომლებიც წარმოადგენენ მნიშვნელოვან აკადემიურ პრაქტიკას და უზრუნველყოფენ დისციპლინაში არსებულ ხარისხს. მეორეს მხრივ, ახლად დანერგილი კურსები კვლევითი პროექტების მენეჯმენტი და IT საშუალებები (MOODLE ძირითადად გამოიყენება სწავლებისთვის, და არა როგორც კვლევის ინსტრუმენტი), დამაიმედებელი ინოვაციებია. თვითშეფასებაში პროგრამის ხელმძღვანელები თავად აღნიშნავენ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სერიოზული გაუმჯობესების საჭიროებას. თუმცა, უსდ არ იყენებს მის საკუთრებაში არსებულ ინსტიტუციურ ერთეულებს (მაგალითად, ისრაელის კვლევების ცენტრი, მრავალეთნიკური კვლევების ცენტრი) ან საერთაშორისო პარტნიორობებს. სუ-ს არ აქვს შემუშავებული კვლევის კონკრეტული დღის წესრიგი. შესაბამისად, გარდა უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის უზრუნველყოფისა, სადოქტორო პროგრამის როლი არაა განსაზღვრული საქართველოს უნივერსიტეტის ინსტიტუციური განვითარებისა თუ მის ინტერდისციპლინურ კვლევით ძალისხმევაში. რამდენადაც, საქართველოს უნივერსიტეტს აქვს ამბიცია, წვლილი შეიტანოს ისტორიის დარგის საერთაშორისო კვლევაში, აშკარა შეზღუდვები აქვს საკუთარი კვლევის საერთაშორისო გავრცელების თვალსაზრისით,

კერძოდ კონფერენციებში მონაწილეობის, საერთაშორისო პუბლიკაციებისა და ურთიერთ-თანამშრომლობის პროექტების კუთხით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: სუ-ს სადოქტორო პროგრამა "ისტორია"; გასაუბრება პროგრამის პერსონალთან ადგილზე ვიზიტის დროს, ორი სადოქტორო ნაშრომი.
რეკომენდაციები: 1.1.1 სადოქტორო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია უნდა იყოს მთავარი სამომავლო ძალისხმევა. ეს მოიცავს უცხოელი მკვლევარების ჩართულობას ხელმძღვანელობის პროცესში, ასევე საერთაშორისო, რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნების მოთხოვნა. ამ გამოცდილების გარეშე, კურსდამთავრებულები არ იქნებიან კონკურენტუნარიანი საერთაშორისო დონეზე. 1.1.2 საერთაშორისო ექსპერტების გარდა, ფაქტობრივი ხელმძღვანელები უნდა იყვნენ ჩართულნი არა მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოში, არამედ სადოქტორო პროგრამის შემუშავებაში. ეს ასევე ეხება ამჟამინდელ ან ყოფილ დოქტორანტებს.
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: 1.1.3 ისტორიის სადოქტორო პროგრამის მდგრადი და წარმატებული განხორციელებისთვის, სასურველია საქართველოს უნივერსიტეტმა წერილობით ჩამოაყალიბოს პროგრამის როლი (სხვებთან ერთად) უნივერსიტეტისთვის და ზოგადად მისი კვლევითი დღის წესრიგისთვის. ასეთი სტრატეგიული დოკუმენტი გამოდგება კვლევითი პრიორიტეტების გამოვლენაში, რათა გაძლიერდეს მისი, როგორც კერძო უნივერსიტეტის პოზიცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისათვის.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): უდავოა, რომ სამეცნიერო და სათათბირო საბჭოს დანერგვა თითოეული დოქტორანტისთვის ინდივიდუალურად, ხელმძღვანელობის, როგორც გუნდური მუშაობის გაუმჯობესებისთვის ძალიან ინოვაციური მიდგომაა. რამდენადაც სადოქტორო პროგრამაზე მხოლოდ ექვსი სტუდენტი ირიცხება, ეს უზრუნველყოფს ზედამხედველობაზე მორგებულ სტრუქტურულ გარემოს, თუკი არა მხოლოდ ისტორიის დარგის პერსონალი იქნება აქტიურად ჩართული.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში ხელახალი აკრედიტაციისთვის, სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა გაუმჯობესდა აკრედიტაციის პირველი ხუთი წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე (სამეცნიერო საბჭოს დანერგვა, კვლევის პროექტის მართვა და IT კურსები). გარდა ამისა, დაინერგა კვლევის დაფინანსების წამახალისებელი სტრუქტურა, რათა სტუდენტებს მიეცეთ საშუალება მიიღონ დაფინანსება საჭირო საველე მისიებისთვის, ლიტერატურისა თუ პუბლიკაციებისთვის. დოქტორანტების არსებული ფინანსური სტრესის გათვალისწინებით, ეს ნამდვილად გაუმჯობესებაა ორიგინალური კვლევისათვის. არსებობს საერთაშორისო კვლევის უახლესი მეთოდებისა და დისციპლინური

განხილვების უფრო ფოკუსირებული დანერგვის საჭიროება. საინტერესოა, რომ გასაუბრების დროს, აკადემიურ პერსონალს და დოქტორანტებს, არ უხსენებიათ, რომ იყენებენ ხელმისაწვდომ საერთაშორისო ონლაინ მონაცემთა ბაზებს, რომელსაც საქართველოს უნივერსიტეტი სთავაზობს თავის სტუდენტებს კვლევებისთვის. ჩვენს მიერ შეფასებულ ორ სადოქტორო დისერტაციაში თითქმის არ იყო გამოყენებული საერთაშორისო კვლევითი ლიტერატურა, რათა დააფუძნონ თავიანთი თემები საქართველოს ისტორიის სფეროში ისე, რომ ხელმისაწვდომი იყოს საერთაშორისო ისტორიოგრაფიისთვის.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებს და/ან პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა სწორად მიუთითებს, რომ პროგრამის დამთავრების შემდეგ დოქტორანტი შეიძენს "კვლევის საერთაშორისო სტანდარტებით განხორციელების უნარს". ჯერჯერობით, ეს მიზანი არაა შესაბამისად გათვალისწინებული განხორციელებული სწავლებისა და კვლევის კომპონენტებში. ისტორიასთან დაკავშირებული კვლევის მეთოდოლოგიებზე აქცენტი გამოტოვებულია. გაუგებარია, თუ როგორ შეიძლება იქნეს უზრუნველყოფილი მაღალი ხარისხის სტანდარტები მაშინ, როდესაც პროგრამაში შემოთავაზებული კურსებისათვის არც საგნობრივი და არც სხვა წინაპირობებია განსაზღვრული. ისტორიის ძირითადი კურსების სილაბუსები შეიცავს მოცემული გეოგრაფიული ტერიტორიის ისტორიის შესავალს, მაგრამ არ მოიცავს საერთაშორისო ისტორიოგრაფიაში მიმდინარე დიდ დებატებს. ეს აუცილებელია საერთაშორისო მასშტაბის, კონკურენტუნარიანი ისტორიის სადოქტორო პროგრამის შესანარჩუნებლად. კურსი საერთაშორისო ისტორიული სამეცნიერო კვლევების განვითარების შესახებ არ იძებნება. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი და შესაბამისი სინთეზები შედის სასწავლო გეგმაში, უახლესი საერთაშორისო კვლევების მონაცემთა ბაზებზე მითითებები, იშვიათად გვხვდება. რასაკვირველია, შეუძლებელი იქნება ისტორიოგრაფიის გლობალური მოვლენების მთელი სპექტრის დაფარვა, მაგრამ საჭიროა თანამედროვე კვლევების უახლესი მეთოდებისა და დისციპლინური დებატების უფრო ორიენტირებული დანერგვა. საინტერესოა, რომ გასაუბრების დროს, აკადემიურ პერსონალს და დოქტორანტებს, არ უხსენებიათ, რომ იყენებენ ხელმისაწვდომ საერთაშორისო ონლაინ მონაცემთა ბაზებს, რომელსაც საქართველოს უნივერსიტეტი სთავაზობს თავის სტუდენტებს კვლევისთვის. ჩვენს მიერ შეფასებულ ორ სადოქტორო დისერტაციაში თითქმის არ იყო გამოყენებული საერთაშორისო კვლევითი ლიტერატურა, რომ თავიანთი თემები საქართველოს ისტორიის სფეროში მოაქციონ ისე, რომ ხელმისაწვდომი იყოს საერთაშორისო ისტორიოგრაფიისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: სუ-ს სადოქტორო პროგრამა "ისტორია"; გასაუბრება პროგრამის პერსონალთან ადგილზე ვიზიტის დროს, ორი სადოქტორო ნაშრომი.
რეკომენდაციები: 1.2.1 პროგრამის მენეჯმენტი უნდა ისწრაფვოდეს საქართველოს უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის პროცესში საერთაშორისო მკვლევარების მეტი ჩართულობისკენ. ამგვარად, დოქტორანტებისთვის ხელმისაწვდომი გახდება საერთაშორისო კვლევითი ლიტერატურა და გაცვლითი პროგრამები, რათა დააგროვონ გამოცდილება შესაბამის მიმართულებებში.
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: 1.2.2 სადოქტორო პროგრამის შედეგები შესაძლოა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ მათი მიღწევა გახდეს რამდენადაც შესაძლებელია ობიექტურად გაზომვადი (მაგ. სტატიების პუბლიკაცია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში, წიგნის მიმოხილვის პუბლიკაციები აკადემიურ ჟურნალებში, საერთაშორისო კვლევით კლასტერებში ან ასოციაციებში ჩართულობა და სხვ.). სადოქტორო პროგრამის შედეგები შესაძლოა ასევე მოიცავდეს უფრო მეტ თანამშრომლობით ფორმას, რეცენზირებას, ეროვნულ და საერთაშორისო კვლევით კლასტერებში მონაწილეობას, საჯარო დისკუსიებს და ინსტიტუციონალურ პარტნიორებთან სტრუქტურირებულ თანამშრომლობას. 1.2.3 სადოქტორო პროგრამის შედეგები შესაძლოა ასევე, მოიცავდეს თანამშრომლობის უფრო მეტ ფორმას, რეცენზირებას, ეროვნულ და საერთაშორისო კვლევით კლასტერებში მონაწილეობას, საჯარო დისკუსიებს, ინსტიტუციონალურ პარტნიორებთან სტრუქტურირებულ თანამშრომლობას.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ შეინიშნება.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში არ შეინიშნება.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი		X		

შესაბამისობა პროგრამასთან				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს მიზნებისა და დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე მიღების წინაპირობები ძალიან ფართოა და მოიცავს დიპლომის ქონას ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, სამართლის და თეოლოგიის სფეროებში. არ არსებობს განსაკუთრებული მითითება საბაკალავრო, სამაგისტრო დონეებზე, ასევე არაფორმალური აქტივობებით მიღებულ ცოდნასა და კომპეტენციებზე, ისტორიის სფეროში. სავალდებულოა უცხო ენის ცოდნა (ძირითადად ინგლისური ენის). ჩვენი ვიზიტის დროს, დეკანმა და პროგრამის პასუხისმგებელმა პირმა განაცხადეს, რომ დოქტორანტები, ძირითადად, ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები არიან. მხოლოდ ერთ შემთხვევაში იქნა დოქტორანტი მიღებული სხვა უნივერსიტეტიდან, მაგრამ მას მოუწია მთლიანი სადოქტორო პროგრამის გავლა. ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორ შეძლებენ გააცნონ არა ისტორიკოს სტუდენტებს სამაგისტრო და საბაკალავრო დონიდან, რომლებსაც სურთ პროგრამაზე სწავლა, არა მხოლოდ რეგიონალურ ისტორიის კურსებს, არამედ, აგრეთვე ისტორიულ მეთოდოლოგიას, რისთვისაც მხოლოდ 10 ECTS არის გამოყოფილი დისციპლინურ კურსებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: სადოქტორო პროგრამა "ისტორია"; გასაუბრება დეკანთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან.
რეკომენდაციები: 2.1.1 დაზუსტდეს პროგრამაზე მიღებისათვის საჭირო, ისტორიის სფეროში არსებული ფორმალური თუ არაფორმალური ცოდნა და კომპეტენციები. ეს დაეხმარებოდა აპლიკაციების უზრუნველყოფას სხვა უსდ-დან ან დისციპლინებიდან, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ასეთი ძალიან ცოტაა. კარგად განხორციელებული წინასწარი შერჩევა წარმატებისა და მაღალი ხარისხის კვლევის შედეგების გარანტია
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: 2.1.2 პროგრამაზე პასუხისმგებელ პირებს ვურჩევთ, განიხილონ თუ როგორ შეიძლება აკადემიური და ზედამხედველი საბჭოს ჩართვა პოტენციური დოქტორანტების შერჩევის პროცესში,.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

თვითშეფასებაზე მეტად სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ არსებობს ხელმისაწვდომი რესურსებით პროგრამის გაუმჯობესების საერთო ვალდებულების განცდა.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ისტორიის სადოქტორო პროგრამა შემუშავებულია ხარისხის უწყვეტი უზრუნველყოფის შესახებ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესაბამისად, რომელშიც დაკონკრეტებულია პროგრამაში ცვლილებების შეტანის ალგორითმი. პროგრამის განხორციელება დაიწყო 2015 წელს, მისი თავდაპირველი აკრედიტაციის შემდეგ. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამასა და თითოეულ კურსზე დაშვების ადეკვატურ წინაპირობებს. თავდაპირველი აკრედიტაციის შემდეგ, მასში ცვლილებები განხორციელდა 2018 წელს. კერძოდ, კურიკულუმის მოდულში განცალკევდა სავალდებულო და არჩევით საგნები. სადოქტორო პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სუ-ს ვებ – გვერდზე. საერთო ჯამში, საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება მოთხოვნილ სტანდარტებს და უზრუნველყოფს ეფექტურ სადოქტორო სწავლებას. პროგრამა ხორციელდება 2014 წლიდან. თავდაპირველი აკრედიტაციის შემდეგ იგი მოდიფიცირდა, კერძოდ სასწავლო გეგმის მოდული დაიყო სავალდებულო და არჩევით საგნებად. რეგიონული ისტორიის ორი დისციპლინური კურსი (20 ECTS) არ ჩანს, რომ იყოს საკმარისი აკადემიური კვლევების წარმოებისთვის და საერთაშორისო ისტორიოგრაფიაში მიღებისთვის. გამართლებულია სასწავლო კომპონენტის შეწონვა ერთი მესამედით (6 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტის 120 კრედიტით ან ორი მესამედით. ამასთან, განვითარების პროცესში მხოლოდ მასწავლებლები მონაწილეობენ და ის ხელმძღვანელები კი, რომლებიც არ ასწავლიან პროგრამაში, მაგრამ უზრუნველყოფენ სასიცოცხლო და საპასუხისმგებლო მნიშვნელობის კონტრიბუციას წარმატებული კვლევისთვის არ არიან ინტეგრირებული პროგრამის განვითარების პროცესში. პროგრამა არ ითვალისწინებს აკრედიტაციის სტანდარტებით მოთხოვნილ თავისუფალ კრედიტებს, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემდა მონაწილეობა მიეღოთ

გაცვლით პროგრამებში ან მიეღოთ დამატებითი ცოდნა თავიანთი ინტერესის სფეროში, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა სადოქტორო პროგრამა ინტერდისციპლინური ხასიათისაა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: პროგრამირების დოკუმენტი, საუბრები პედაგოგებთან, ერთ ყოფილ და ორ ამჟამინდელ დოქტორანტთან.
რეკომენდაციები: 2.2.1 დაამატეთ დოქტორანტთა ხელმძღვანელები პროგრამაში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ მონაწილეობენ სწავლების პროცესში, მათი წვლილი კვლევის კომპონენტში, გადამწყვეტია მთლიანი პროგრამის წარმატებისთვის. 2.2.2 უზრუნველყავით, რომ სტუდენტები გაეცნონ საკმარისი რაოდენობის კრედიტების მოცულობის (არა მხოლოდ დისციპლინური კურსებისთვის გამოყოფილი 10 ECTS-ით) ისტორიულ კვლევებს არა მარტო რეგიონულ ისტორიაზე, არამედ ისტორიულ მეთოდოლოგიაზეც.
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: 2.2.2 შეფასების კრიტერიუმები შესაძლოა დივერსიფიცირდეს და უფრო მეტად ფოკუსირდეს კონკრეტულ უნარებზე, არა მხოლოდ პრეზენტაციებზე, არამედ სწავლების ნიმუშებზე, აკადემიური წიგნების მიმოხილვაზე, ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებაზე და ა.შ. 2.2.3 მენეჯმენტს, ლექტორებს, ყოფილ და ამჟამინდელ დოქტორანტებს შეეძლოთ ერთობლივად მოეხდინათ გავლენა უფრო მეტად თანამშრომლობითი მიდგომების დანერგვაზე და ამგვარად წაეხალისებინათ ინტერაქცია სხვა დოქტორანტებთან, ინდივიდუალური კვლევითი პროექტების მიღმა, რაც დოქტორანტებს მოამზადებდა საერთაშორისო მკვლევარებთან ინტერაქციისთვის და ამ მხრივ, გაეზარდათ სწავლის ინტერესი საქართველოს ისტორიისადმი.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ხელმძღვანელებთან გასაუბრებით, მივიღეთ ინფორმაცია ინდივიდუალიზებულ მხარდაჭერაზე, რომლის მობილიზებაც შეიძლება საჭიროების შემთხვევაში (მაგ. სპეციალური ენის კურსი ოსმალეთში ემრე იუნუს ცენტრში) და მცირე გრანტის გაცემა კვლევის ჩასატარებლად, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს ყურადღება გაამახვილონ მხოლოდ თავიანთ კვლევაზე და ჩაატარონ დარგის კვლევა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში ამ დროისთვის, ექვსი სადოქტორო კვლევიდან მხოლოდ ორი დასრულდა (ერთს კი სტატუსი აქვს შეჩერებული ფინანსური მიზეზების გამო). ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ ორივე, რომლებიც უკავშირდება საქართველოს ისტორიას. ორივე არ შეიცავს საერთაშორისო კვლევითი ლიტერატურის ჩანაწერებს, უფრო კომპლექსური ისტორიოგრაფიის თეორიულ ან კონცეპტუალურ მიდგომებს. ამ დროისთვის, ექვსი სადოქტორო კვლევიდან მხოლოდ ორი დასრულდა (ერთს კი სტატუსი აქვს შეჩერებული ფინანსური მიზეზების გამო). ჩვენ შევძელით შეგვეფასებინა ორივე, რომლებიც უკავშირდება საქართველოს ისტორიას. ორივე კვლევა არ შეიცავს საერთაშორისო კვლევითი ლიტერატურის შესახებ

ჩანაწერებს, უფრო რთული ისტორიოგრაფიის თეორიულ ან კონცეპტუალურ მიდგომებს.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 სასწავლო კურსი
➢ თითოეულო ძირითადი კურსის სტუდენტის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან; ამის გარდა, თითოეული კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის განზრახული სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ადრე ყველა კურსი სავალდებულო იყო. სასწავლო კომპონენტის სავალდებულო კურსების მოცულობა შეადგენს 30 კრედიტს: 1. მეცნიერების ფილოსოფია (10 კრედიტი), რაც, ზოგადად, იძლევა ძალიან კარგ და შესაბამის შესავალს აკადემიური კვლევის ეპისტემოლოგიაში, ისტორია მხოლოდ ნაწილობრივაა განხილული. 2. თვისებრივი კვლევის მეთოდები (10 ECTS) ძალზედ აუცილებელია, მაგრამ ზუსტად არ მოიცავს ისტორიაში გამოყენებულ მეთოდებს. 3. სწავლებისა და შეფასების თანამედროვე სტრატეგიები (5 კრედიტი) სტუდენტს ამზადებს აკადემიური სწავლებისთვის. 4. სადოქტორო სემინარი I სპეციალობაში (5 კრედიტი), 5. სადოქტორო სემინარი II (5 ECTS) მოიცავს რეგიონალურ ისტორიას ორ დონეზე, მაგრამ მხოლოდ 10 ECTS-ით არ არის ნათელი, საიდან ჩამოუყალიბდება სტუდენტს ისტორიული ცნებებისა და მეთოდების კვლევითი გამოცდილება. 6. პროფესორის ასისტირება (პედაგოგიური პრაქტიკა, 5 ECTS) ყველა დოქტორანტისთვის, რომლებიც არ ასწავლიან უსდ-ში. შემოთავაზებულია შემდეგი არჩევითი კურსები, სულ 20-25 ECTS: 7. აკადემიური წერა სამეცნიერო გამოქვეყნებისთვის (10 ECTS) არის ზოგადი შესავალი ამ უნარში, თუმცა არ მოიცავს ისტორიის ჟურნალებში გამოქვეყნების თავისებურებებს. 8. ტექსტის მიმოხილვა და თარგმანი (5 ECTS), რა თქმა უნდა, საინტერესოა, მაგრამ ძალიან სპეციფიკური თემატიკა, ისტორიულ მეთოდებსა და კონცეფციებზე, გამორჩენილია. 9. კვლევის პროექტის მართვა (10 ECTS) ძალიან დაეხმარება დოქტორანტს იმის გასაანალიზებლად, რომ კვლევა მართვადი პროცესია. ეს კურსი ასევე დაეხმარება დოქტორანტებს კვლევითი პროექტების შეთავაზებების მოსამზადებლად სამეცნიერო ფონდებსა თუ დაწესებულებებში წარსადგენად. 10. რაოდენობრივი კვლევის მეთოდები (10 ECTS) რელევანტურია სოციალური თუ ეკონომიკური ისტორიის კვლევისთვის და შესაბამისად, სწორად არის განთავსებული არჩევით საგნად. 11. ელექტრონული სწავლის მართვის სისტემები (5 ECTS) ძირითადად მოიცავს MOODLE-ს, როგორც სწავლების ინსტრუმენტს, თუმცა არ მოიცავს ციფრული ჰუმანიტარული მეცნიერებების მიღწევებს, რაც უფრო და უფრო მეტ კვლევას და წყაროს ხდის მარტივად ხელმისაწვდომს ონლაინ მონაცემთა ბაზებში, ამის შესახებ დოქტორანტი ინფორმირებული უნდა იყოს.

60 ECTS, სასწავლო კომპონენტი შეადგენს მთლიანი პროგრამის ერთ მესამედს. მხოლოდ ორი სადოქტორო სემინარი I და II პირდაპირ კავშირშია ისტორიოგრაფიასთან (10 ECTS), რაც არ არის საკმარისი ისტორიაში წინა კურსების გავლის გარეშე სტუდენტების სოციალიზაციისთვის. არც აკადემიური წერის კურსი, არც სავალდებულო თვისებრივი ან არჩევითი რაოდენობრივი მეთოდების კურსებია სპეციალიზირებული ისტორიულ კვლევაზე (თითოეული 10 ECTS). ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ, რომ ისტორიის სპეციალობის კურსები ძირითადად ფოკუსირდება პოლიტიკურ ისტორიაზე. ისმის კითხვა, სად გაეცნენ დოქტორანტები თანამედროვე ისტორიოგრაფიის ყველა სხვა სფეროს.

120 ECTS-ით, კვლევის კომპონენტი ორი მესამედით წარმოადგენს პროგრამის ძირითად ნაწილს (76%). ის ძირითადად ეყრდნობა რეგულარულ კონსულტაციებს ხელმძღვანელებთან. ახლად დანერგილი აკადემიური და სათათბირო საბჭოები ხელს შეუწყობს ამ კომპონენტის შემდგომ სტრუქტურირებას. არ მოქმედებს რეგულარული სადოქტორო სემინარები, რათა მოხდეს მიმდინარე კვლევის გაზიარება ხელმძღვანელთან და თანაკურსელებთან. არ არსებობს თანამშრომლობის ფორმები დოქტორანტებს შორის (ჯგუფური მუშაობა, მცირე კონფერენციების ან ვორქშოპების ორგანიზება, კოლეგიალური შეფასება, კონტრაქტები და ურთიერთობა უცხოელ მეცნიერებთან, რომლებიც მუშაობენ ანალოგიურ თემებზე საზღვარგარეთ). კვლევის კომპონენტის სტრუქტურაში ასახული არ არის, რომ დოქტორანტებს შეეძლებათ დროულად შეასრულონ თავიანთი დავალებები (მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბევრი მათგანი მუშაობს სრულ განაკვეთზე და აწარმოებს კვლევას სამუშაოს შემდეგ). ეს წარმოადგენს სერიოზულ სტრუქტურულ პრობლემას და ზიანს აყენებს მთლიანი კვლევის შედეგის ხარისხს. თანამშრომლობითი სტრუქტურა დაეხმარება დოქტორანტებს წერაში შეზღუდვებისა და სხვა პრობლემების გადალახვაში, თუკი მათი განხილვა უშუალოდ, პირად ხელმძღვანელთან კონტაქტის დროს არ ხდება.

120 ECTS-იანი კვლევის კომპონენტი წარმოადგენს პროგრამის ძირითადი ნაწილის ორ მესამედს (76%). ის ძირითადად ეყრდნობა რეგულარულ კონსულტაციებს ხელმძღვანელებთან. ახლად დანერგილი აკადემიური და სათათბირო საბჭო ხელს შეუწყობს ამ კომპონენტის შემდგომ სტრუქტურირებას. არ ხორციელდება დოქტორანტის რეგულარული სემინარები, რათა მოხდეს მიმდინარე კვლევის გაზიარება ხელმძღვანელთან და სხვა თანაკურსელებთან. არ არსებობს თანამშრომლობის ფორმები დოქტორანტებს შორის (ჯგუფური მუშაობა, თვითორგანიზებული მცირე კონფერენციების ან ვორქშოპების ჩატარება, კოლეგიალური მიმოხილვები, კონტრაქტები და ურთიერთობა უცხოელ მეცნიერებთან, რომლებიც მუშაობენ ანალოგიურ თემებზე საზღვარგარეთ). კვლევის კომპონენტის სტრუქტურაში ასახული არ არის, რომ დოქტორანტებს შეეძლებათ დროულად შეასრულონ თავიანთი დავალებები (მაშინაც კი, როცა საქართველოში ბევრი მათგანი მუშაობს სრულ განაკვეთზე და ატარებს კვლევას მხოლოდ სამუშაოს შემდეგ). ეს წარმოადგენს სერიოზულ სტრუქტურულ პრობლემას და ზიანს აყენებს მთლიანი კვლევის შედეგის ხარისხს. თანამშრომლობითი სტრუქტურა დაეხმარება დოქტორანტებს წერაში დაბრკოლებების და სხვა პრობლემების გადასალახად, თუკი მათი განხილვა ვერ მოხერხდება უშუალოდ პირად ხელმძღვანელთან კონტაქტის დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

სილაბუსები, ლექტორების CV-ები, პროგრამირების დოკუმენტი, ვებ-საიტი

რეკომენდაციები:

2.3.1 უნდა გაიზარდოს ისტორიოგრაფიული საკითხების შესახებ კურსების წილი ან აკადემიური წერის და სხვა მეთოდოლოგიური კურსები უნდა შეუსაბამოთ ისტორიული კვლევის მოთხოვნებს.

2.3.2 საერთაშორისო ისტორიოგრაფიის ერთ არჩევით კურსს, რომელიც არ არის დაკავშირებული უშუალოდ შესაბამის რეგიონებთან, შეუძლია უზრუნველყოს ინფორმაცია საერთაშორისო სტანდარტების, მიდგომების და კვლევის მეთოდების ან ისტორიული კვლევის ეპისტემოლოგიური საკითხების შესახებ (ისტორიის თეორია). ეს ხელს შეუწყობს ისტორიის კვლევის მეთოდების სრულ ფოკუსირებას მეთოდებზე და მათ გამოყენებას კვლევის პრაქტიკაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

2.3.3 სპეციფიკურ ისტორიულ კვლევებთან დაკავშირებული, კიდევ უფრო სპეციფიკური საერთაშორისო ლიტერატურა უნდა დაემატოს სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურას.

2.3.4 სუ-მ შესაძლოა გაითვალისწინოს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების (ERASMUS+, DAAD, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი) უფრო მეტად გამოყენების საკითხი პროგრამაში უცხოელ ლექტორთა ან უცხოური სასწავლო კურსებიდან ქართველი კურსდამთავრებულების მოსაწვევად.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ვერ განხორციელდა დაკვირვება, რადგან არ იყო ლექციებზე დასწრების შესაძლებლობა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ისტორიული კვლევის უნარების ფართო სპექტრი ნაწილობრივ მოიცავს შეფასების კრიტერიუმებს, რომელიც ხაზს უსვამს მხოლოდ პრეზენტაციებს, მაგრამ არ ითვალისწინებს "ცოდნის მცირე ინსტრუმენტებს", როგორებიცაა მითითებები, წიგნების მიმოხილვა, საჯარო ლექციების მომზადება და მოკლე "ვებ-დოკუმენტები" არააკადემიური აუდიტორიისათვის, ისტორიის კვლევის ეთიკური სტანდარტების დამოწმება (მაგ. Antoon De Baets “Responsible History” New York & Oxford: Berghahn, 2009). როგორც ადგილზე ვიზიტის დროს გავარკვიეთ, ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი კურსდამთავრებული მუშაობს და იყენებს ძირითადად სწავლების უნარებს. კვლევის უნარების შესავალი და პრაქტიკა

მეტწილად მიუთითებს კვლევით კომპონენტზე, რაც ამ მნიშნელოვან ნაწილს უტოვებს ხელმძღვანელებს, რომლებიც მხოლოდ ნაწილობრივ არიან ჩართული სასწავლო კომპონენტში. პრაქტიკული უნარები, ასევე, უნდა მოიცავდეს არქივში მუშაობას, აკადემიური ტომების მომზადებას და წყაროებისა ან კვლევის გამოქვეყნების მიზნით მათ რედაქტირებას. ისტორიკოსებისთვის სწავლება, როგორც პროფესიული უნარი, გათვალისწინებულია, ხოლო საჯარო ლექციების წაკითხვა (რიტორიკა და არგუმენტაცია) არ არის მკაფიოდ განხილული. უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებული ყურადღება კვლევის უნარებზე (კონცეპტუალური აზროვნება, კვლევითი კითხვების ამოქმედება და საერთაშორისო სამეცნიერო დისკურსების მიმართ კონსტრუირება) არ არის გამახვილებული; თუკი გამოიყენება, იგი გათვალისწინებულია ხელმძღვანელის საქმიანობაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: სილაბუსები, ინტერვიუები ხელმძღვანელებთან, პედაგოგებთან, კურსდამთავრებულებთან და დოქტორანტებთან.
რეკომენდაციები: 2.4.1 პროგრამის შემმუშავებლები, ჩართული ხელმძღვანელები და ლექტორები უნდა უზრუნველყოფდნენ, რომ სასწავლო პროგრამის კონკრეტული კურსით განსავითარებელი უნარები სათანადოდაა შესწავლილი და შეფასებული, ისევე, როგორც კვლევითი კომპონენტი (კვლევის პრეზენტაცია საერთაშორისო კონფერენციებზე, პუბლიკაციები რეფერირებად აკადემიურ ჟურნალებში, უმაღლესი განათლების სახელმძღვანელოების მომზადებაში, (თანა) სწავლებაში უნივერსიტეტში და სხვ.).
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: 2.4.2 სადოქტორო პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს დოქტორანტების აქტიურ ჩართულობას კვლევით კოლაბორაციებში, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო პარტნიორ დაწესებულებებთან. 2.4.3 რადგან სუ ასევე უზრუნველყოფს საგანმანათლებლო კურსებს, მან უნდა განიხილოს თანამშრომლობის საკითხი მის განათლების სპეციალისტებთან, რათა მოახდინონ ლექტორებისა და დოქტორანტების სილაბუსებისა და სწავლების პრაქტიკის ანალიზი მათ გასაუმჯობესებლად, რასაც ხანგრძლივი ტრადიცია არ აქვს ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვინაიდან სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს მესამე დონის უმაღლესი განათლების პროგრამას, სასწავლო კომპონენტი არ უნდა იყოს ამდენად ძლიერად ფოკუსირებული ცოდნის გადაცემაზე, არამედ - დისციპლინური და ეპისტემოლოგიური საკითხების ასახვაზე. თუმცა, თვითშეფასების ანგარიში აცხადებს დოქტორანტის ინდივიდუალური საჭიროებებისადმი ადაპტაციას. მაგრამ, როგორც ჩანს, გამოყენებული მეთოდები ეყრდნობა ტრადიციულ ლექციას და ხელმძღვანელისა და დოქტორანტის ინდივიდუალურ საუბრებს. სხვა, უფრო თანამშრომლობითი ფორმები არაა გამოყენებული (მაგ. დოქტორანტთა სამუშაო ჯგუფები). სკოლა არ არის დარგის არც ერთი საერთაშორისო პროფესიული ასოციაციის წევრში, რაც ზღუდავს სწავლების მეთოდების შესაძლო დივერსიფიკაციას. ჩვენ ვერ ვნახეთ მისდევს თუ არა აკადემიური პერსონალი ევროპასა და აშშ-ში დარგში დანერგილ ინოვაციებს (როგორებიცაა, ვირტუალური სწავლება, დისტანციური დისკუსიების შესაძლებლობა რელევანტურ თემებზე მთელი კურსის განმავლობაში, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევებში, როდესაც სტუდენტი მუშაობს სრულ განაკვეთზე და შეზღუდული აქვს შესაძლებლობა კურსის ისნტრუქტორთან რეგულარულ შეხვედრებთან ერთად დაესწროს კოლაბორაციულ ვორქშოფებს) და თუ მისდევს - როგორ. კურსის ფარგლებში არსებული სწავლების მეთოდები არ იყენებს პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომას, რომელიც აუმჯობესებს სტუდენტების მიერ ანალიტიკური ნარატივის ფორმირებას, პროგნოზირების უნარს, ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: თვითშეფასების ანგარიში, პროგრამირების დოკუმენტი, ინტერვიუები ხელმძღვანელებთან და დოქტორანტებთან
რეკომენდაციები: 1.5.2 უნივერსიტეტისა და პროგრამის მენეჯმენტი უნდა დაეხმაროს ლექტორებს და ხელმძღვანელებს, დოქტორანტების პროფილის შესაბამისად სწავლებისა და სწავლის, უფრო მრავალფეროვანი მეთოდების შემოღებაში. ამ მიზნით, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომებისათვის მათ შეუძლიათ დაეყრდნონ თანამედროვე სწავლების მეთოდებში სპეციალისტებს.
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ინდივიდუალურ დონეზე ხელმძღვანელებს და უნივერსიტეტის მენეჯმენტს შეეძლოთ გამოხმაურებოდნენ დოქტორანტის ინდივიდუალურ საჭიროებებს (მაგ. ოსმალური ენის შესწავლა ეიუნუს ემრის ცენტრის მხარდაჭერით და ა.შ.)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

ამ დროისთვის, ექვსი ჩარიცხული დოქტორანტიდან მხოლოდ ერთმა დაასრულა პროგრამა, მეორე კი მალე დაასრულებს.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ისტორიის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. შედგენილია ზოგადი ჩარჩო, რომელიც არეგულირებს სწავლის პროცესს საქართველოს უნივერსიტეტში. პროგრამაში სტუდენტის შეფასება მრავალკომპონენტიანია, ობიექტურია და უზრუნველყოფს კონკრეტული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას. შეფასების კრიტერიუმები გაწერილია თითოეული სილაბუსისთვის ინდივიდუალურად. პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისთვის გამოიყენება შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმები, მათი უმეტესობა სადოქტორო დონისაა, როგორებიცაა აბსტრაქტები, კვლევის პროექტები, პრეზენტაციები და ა.შ. სადოქტორო კვლევის პერიოდულ მონიტორინგს ახორციელებენ აგრეთვე სამეცნიერო მრჩეველთა საბჭო და დოქტორანტის ხელმძღვანელი. სასწავლო პროცესის დროს, კვლევისა და შედეგების გაუმჯობესების შესახებ დოქტორანტი მუდმივად იღებს უკუკავშირს პროფესორებისგან. სტუდენტებს შეუძლიათ შეფასების გასაჩივრება, რაც რეგულირდება საქართველოს უნივერსიტეტის მიერ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების და დამატებითი/განმეორებითი კურსების/კომპონენტებით. დისერტაცია მზადდება კონკრეტული წესების მიხედვით და მოიცავს რამდენიმე ეტაპს, როგორებიცაა წინასწარი განაცხადი, კვლევითი სემინარი, კოლოქვიუმი, საკვალიფიკაციო ნაშრომი. ნაშრომის პრეზენტაცია და დაცვა განისაზღვრება სადოქტორო ნაშრომში, სადაც ასევე დაკონკრეტებულია შეფასების კრიტერიუმები. უნივერსიტეტში შესრულებული სადოქტორო ნაშრომები და სტატიები შემოწმებულია პლაგიატის აღმოსაჩენი პროგრამით - "ტურნიტინი"
მტკიცებულებები/ინდიკატორები: გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; სადოქტორო პროგრამის სილაბუსები; სადოქტორო დებულება; სამეცნიერო-სათათბირო საბჭოს მუშაობის წესები; დოქტორანტის მიერ ჩატარებული ლექციების შეფასება

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: 2.6.1 ამ დრომდე, დოქტორანტები ხელმძღვანელებთან ერთად, მეტწილად მარტო მუშაობენ. საქართველოს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა იძლევა საშუალებას, რათა დაინერგოს ახალგაზრდა მკვლევარების ჯგუფური მუშაობა, სადაც ისინი შეძლებენ ერთმანეთის დახმარებას და ამგვარად ისწავლიან თანამედროვე აკადემიური თანამშრომლობის ძირითად ასპექტებს.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება		X		

3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

უსდ ქმნის სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; პროგრამის განმახორციელებელი თანამშრომლები აცნობენ სტუდენტებს აღნიშნულ სერვისებს, ატარებენ ღონისძიებებს და ხელს უწყობენ სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები
სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, დასაქმებასა და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სუ უზრუნველყოფს ისტორიის პროგრამის დოქტორანტს ყველა საჭირო ინფორმაციით, დაგეგმვისა და სასწავლო პროცესის მიღწევის გაუმჯობესების მიზნით. მათ შეუძლიათ ადვილად მიიღონ ინფორმაცია აკადემიური და ადმინისტრაციული საკითხების შესახებ, ან გაიარონ კონსულტაცია აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან წინასწარ დაგეგმილ საკონსულტაციო საათების ფარგლებში. უნივერსიტეტში მოქმედებს სისტემა "MY Ug". მისი საშუალებით, დოქტორანტს აქვს შეუზღუდავი წვდომა ამ ინფორმაციაზე. ამავე სისტემის საშუალებით, სტუდენტებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ უნივერსიტეტის პროფესორებს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარიერული განვითარების ცენტრი. დოქტორანტებს აქვთ ინფორმაცია ადგილობრივ საუნივერსიტეტო პროექტებსა და კონფერენციებზე. სურვილის შემთხვევაში, კი აქვთ მონაწილეობის შესაძლებლობა. სუის ვებ–გვერდი მუდმივად აწვდის ინფორმაციას გაცვლითი პროგრამების, ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების შესახებ, კონფერენციებსა და კვლევებთან დაკავშირებით, და ყველა სტუდენტს, პროგრამის ან პროექტის საკონკურსო მოთხოვნების შესაბამისად, მათში მონაწილეობის შესაძლებლობა აქვს. დოქტორანტები იცნობენ სუ- ს მიერ შემოთავაზებულ ფინანსურ წახალისებებს და საკვლევ გრანტებს. დამხმარე მექანიზმების მიუხედავად, დოქტორანტების ჩართულობა გაცვლით პროგრამებსა და საერთაშორისო პროექტებში საკმაოდ დაბალია. სუ–ს გააჩნია მატერიალურ–ტექნიკური ბაზა, ხოლო დოქტორანტს აქვს სრული წვდომა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მატერიალურ რესურსებზე, აგრეთვე ონლაინ სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; სტუდენტური სისტემა "ჩემი სუ"; უნივერსიტეტის ვებსაიტი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: უზრუნველყავით და პროაქტიულად გაზარდეთ ისტორიის დარგის შესაბამის და უახლეს საერთაშორისო კვლევით ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობა.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საჭიროების შემთხვევაში, სუ უზრუნველყოფს სპარსული ან არაბული ენის სწავლებას.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება **☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ სადისერტაციო ნაშრომის კვალიფიციური ხელმძღვანელები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხელმძღვანელობა წარმოადგენს სადოქტორო პროგრამის განუყოფელ ნაწილს. ამრიგად, ხელმძღვანელთა კვალიფიკაციასა და პროფესიულ გამოცდილებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. საქართველოს უნივერსიტეტში სადოქტორო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის ყველა პროცედურა გაწერილია სადოქტორო რეგულაციებით. საქართველოს უნივერსიტეტმა ისინი გამოაქვეყნა უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ისტორიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს, ისევე როგორც სხვა ჩართულ მკვლევარებს, აქვთ საკმარისი ცოდნა და გამოცდილება, რათა დაეხმარონ დოქტორანტებს. თუმცა, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი ვერ ავლენს საკმარის საერთაშორისო კომპეტენტურობას თავიანთ კვლევებში (პუბლიკაციები, აკადემიური კონფერენციები, შესაბამისი პროფესიული ასოციაციების წევრობა). აკადემიური პერსონალის პირად საქმეებსა და ინტერვიუებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დოქტორანტებს ეროვნულ დონეზე ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომელთაც აქვთ ნაშრომის თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. ისინი რეგულარულად უწევენ კონსულტაციებს დოქტორანტებს, რისი დოკუმენტაციაც არ არის მკაფიო. კონსულტაციების სიხშირე დამოკიდებულია პროგრამის სპეციფიკასა და საკვლევ თემაზე. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ კვლევის პროცესში, ხელმძღვანელი აქტიურად ურჩევდა მათ სხვადასხვა საკვლევ თემას. აკადემიური და მრჩეველთა საბჭოს დამხმარე როლი ხელს უწყობს პროცესის გაუმჯობესებას, მაგრამ ზედამხედველობა (სამუშაო გეგმები, პროგრესის ანგარიში და ა.შ.) სუსტად არის დოკუმენტირებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ისტორიის სადოქტორო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილები და საკვლევი თემები; პროგრამის ხელმძღვანელების რეზიუმეები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: დოქტორანტის პროგრესის რეგულარული შეფასებისა და შემდეგი ნაბიჯების დაგეგმვისათვის, სადოქტორო პროგრამის მენეჯმენტმა შეიძლება განიხილოს, საანგარიშო ფორმატის შემოღება. დოქტორანტის პროგრესის დასადგენად ეს ოფიციალური ანგარიშები შეიძლება განხორციელდეს ყოველ სამ, ექვს ან თორმეტ თვეში.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4: **სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა**

პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსები
➢ პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური სპეციალისტებისაგან, რომლებიც ფლობენ საჭირო კომპეტენციას, რათა დაეხმარონ სტუდენტებს სწავლის შედეგების მიღწევაში; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის მდგრად წარმართვას და ასევე, კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური აკადემიური პერსონალისგან. პროგრამაში ჩართულია 11 სრული და ასოცირებული პროფესორი. პროგრამის მენეჯერი, უდავოდ, გამოცდილი ისტორიკოსია, აქცენტით ისტორიის სახელმძღვანელოების გამოქვეყნებაზე. მის CV- ში (Excel ფაილი) ვერ ვიპოვნეთ საერთაშორისო აკადემიურ კონფერენციებში მონაწილეობის ან რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციების თაობაზე რაიმე დადასტურება. პროგრამის მენეჯერის მოადგილე ჩართულია მხოლოდ ნახევარ განაკვეთზე საათობრივი ანაზღაურებით, რადგან იგი მუშაობს სხვა სახელმწიფო დაწესებულებაში. მას 2013 წლამდე

გამოქვეყნებული აქვს 5 წიგნი. აკადემიური ნაშრომები არაა მითითებული. იგი უდავოდ კარგი და გამოცდილი ექსპერტია ახლო აღმოსავლეთის სფეროში. მაგრამ ისტორიოგრაფიაში, ისტორიულ კონცეფციებსა და საერთაშორისო აკადემიურ დისკურსებში მისი ცოდნა არ არის დადასტურებული. ამგვარად, პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, რომელიც საჭიროა პროგრამის განხორციელებისთვის. ორივე კომპეტენტურია ეროვნულ დონეზე, მაგრამ საჭიროებენ საერთაშორისო ურთიერთობების (კონფერენციები და პუბლიკაციები) განმტკიცებას. დანარჩენი პერსონალი კომპეტენტურია შესაბამის სფეროებში (ფილოსოფიის ისტორია, საგანმანათლებლო მეცნიერებები, IT და ა.შ.), თუმცა მათი უმეტესობა არაა ისტორიკოსი. ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს აქვს სათანადო კომპეტენცია და მათი რაოდენობა სტუდენტთა მოთხოვნების შესაბამისია. ამასთან, ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ ფაქტობრივი ან პოტენციური ხელმძღვანელები არ არიან მითითებული პროგრამის პერსონალის ჩამოთვლში, რადგან ისინი არ ასწავლიან რაიმე საგანს ამ პროგრამაზე. რადგანაც, სუ- ს ბევრი ისტორიკოსი ჰყავს აკადემიურ პერსონალში, ეს გაზრდის პროგრამის პერსონალის რაოდენობას. ეს ასევე შეცვლიდა პროფესორებსა და სტუდენტებს შორის თანაფარდობის ბალანსს, რომელიც ამჟამად 1,83-ს შეადგენს. პროგრამას არ ჰყავს მოწვეული ლექტორები. პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, რომელიც საჭიროა პროგრამის განხორციელებისთვის. ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს აქვს სათანადო კომპეტენცია და მათი რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტთა საჭიროებებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: თვითშეფასების ანგარიში, CV-ები, ინტერვიუები უნივერსიტეტის პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: 4.1.1 ხელმძღვანელები უნდა შედიოდნენ პროგრამის პერსონალის სიაში.
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: 4.1.2 ისტორიის სფეროს ყველა თანამშრომელი აქტიურად უნდა იყოს ჩართული პროგრამაში და მის განვითარებაში.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;

- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა, ხელს უწყობს მათ სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტის მენეჯმენტმა მხოლოდ 2018 წელს დანერგა ეს ცვლილებები. გაუგებარია, თუ რატომ იყენებს პერსონალი ამ ახალი სტრუქტურის შესაძლებლობებს ძალიან შეზღუდულად. შეიძლება არსებობდეს სხვა ფაქტორები, რომლებიც აფერხებენ პერსონალის პროფესიულ განვითარებას. ჩვენ ვერ შევძელით გვენახა ან გამოგვევლინა პერსონალს შორის გამოცდილების გაზიარების (საუკეთესო პრაქტიკის) ან გამოცდილი ტრენერების მოწვევის რაიმე კოლეგიალური სტრუქტურა, მაგალითად, პროგრამის პერსონალის საზედამხედველო შესაძლებლობების გასაძლიერებლად. უცხოელები არც დასაქმებული არიან სადოქტორო დონეზე და არც აქტიურად არიან ჩართულნი სადოქტორო პროგრამასა და მის შემუშავებაში.

სუ რეგულარულად ახორციელებს საკუთარი აკადემიური პერსონალის შეფასებას. პროგრამაში არ არის მოწვეული პერსონალი. პერსონალის შეფასება ეყრდნობა მათ სასწავლო და კვლევით საქმიანობას. მათ ასევე ყოველი სემესტრის ბოლოს აფასებენ დოქტორანტები, სპეციალური კითხვარების მეშვეობით, რომელთაც შეიმუშავებს საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა. სუ-ს აქვს უწყვეტი პროფესიული განვითარების ცენტრი პროფესორებისა და დოქტორანტების პროფესიული განათლების კოორდინირებისთვის. სუ-მ ასევე დანერგა ფინანსური ბონუსები საერთაშორისოდ აღიარებულ ჟურნალებში პუბლიკაციებისთვის, სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში მათი რეიტინგების საფუძველზე. უნივერსიტეტში აგრეთვე მოქმედებს საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისთვის განკუთვნილი დაფინანსების მექანიზმი. სუ ასევე ატარებს ყოველწლიურ კონფერენციას და გამოსცემს "კავკასიის სოციალურ მეცნიერებათა ჟურნალს", თუმცა ჯერჯერობით ისტორიის სადოქტორო პროგრამის ერთ დოქტორანტსაც არ გამოუქვეყნებია ამ ჟურნალში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

თვით-შეფასება; ინტერვიუები სუ-ის პერსონალთან; პრემიების გაცემის წესის დებულების დანართი

რეკომენდაციები:

4.2.1 სუ-ს მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის ძირითადი პერსონალის ხელშეწყობა და თავისი კვლევით საერთაშორისო ისტორიული საზოგადოების დონეზე მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. ამის გარეშე, მატ გაუჭირდებათ გააცნონ თავიანთ დოქტორანტებს საერთაშორისო კვლევის სტანდარტები და ქსელები, როგორც ეს მოცემულია პროგრამის მიზნებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სილაბუსებში მოცემული ყველა ლიტერატურა იძებნება ბიბლიოთეკაში, ციფრული ფორმით მაინც. სუ–ს გამოწერილი აქვს საერთაშორისო მონაცემთა ბაზები, რაც საშუალებას აძლევს როგორც პროფესორებს, ასევე სტუდენტებს გაეცნონ დარგის უახლეს მიღწევებს. ამასთან, ინტერვიუების დროს არავინ აღნიშნა, რომ იყენებს ამ ბაზებს და ორი სადოქტორო დისერტაცია, რომელთა გადამოწმებაც შევძელით, არ შეიცავს მითითებებს საერთაშორისო ჟურნალის სტატიების გამოყენებაზე.

სარა ბენ შემეშის სახელობის ისრაელის კვლევითი ცენტრი, რომელიც გაიხსნა 2019 წლის 1 მაისს, უზრუნველყოფს დაინტერესებული პერსონალის ან სტუდენტების კვლევითი საქმიანობის და პრაქტიკული სამუშაოების შემდგომ განვითარებას. სუ-ს აქვს თანამედროვე კომპიუტერული ლაბორატორია, ყველა საჭირო ატრიბუტით. ყველა სასწავლო ოთახი აღჭურვილია პროექტორითა და კომპიუტერებით, მაგრამ სკამები უმეტესად ლექტორის წინ იყო განლაგებული, რაც ლექციის დროს, სტუდენტებს შორის ინტერაქციის დიდ შესაძლებლობას არ იძლევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

ადგილზე ვიზიტი ბიბლიოთეკაში, სარა ბენ შემეშის სახ. ისრაელის კვლევის ცენტრში, კომპიუტერულ ლაბორატორიაში და სასწავლო ოთახებში.

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

4.3.1 სუ-ს სადოქტორო პროგრამას შეეძლო მიეწოდებინა ინგლისურ ენაზე მეტი კვლევითი ლიტერატურა, ელექტრონული ფორმით მაინც და უზრუნველყო, რომ დოქტორანტები იყენებენ ხელმისაწვდომ ელექტრონულ მონაცემთა ბაზებს თავიანთი კვლევისთვის. ეს შეიძლება განხორციელდეს რეგულარული ლიტერატურის მიმოხილვის ჯგუფის მიერ, რომელსაც თავად დოქტორანტები ხელმძღვანელობენ და უზრუნველყონ ისტორიის დისციპლინისთვის შესაბამისი აქტუალური ლიტერატურის რეგულარული შეძენა.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამას აქვს თავისი ფინანსური გეგმა, რომელიც ძირითადად ფარავს ლექტორების ხელფასისა და სხვა საკითხებისთვის განკუთვნილ ხარჯებს. პროგრამის წლიური შემოსავალი იყოფა სოციალურ მეცნიერებათა სკოლასა(40%) და უნივერსიტეტს შორის (60%). პროგრამას აქვს საკუთარი ფინანსური გეგმა, რომელიც სუ-ს მენეჯმენტმა მოარგო პროგრამის საჭიროებებს. ბიუჯეტი დაბალანსებულია, თუმცა მთავარი შემოსავალი სწავლის საფასურია, სტუდენტისთვის წელიწადში 3.000 ლარის ოდენობით. მაშინ როდესაც, შემოსავლის ეს წყარო დიდი არაა სუ-სათვის, იგი დამატებითი ტვირთია იმ დოქტორანტებისთვის, რომლებსაც მუშაობა სადოქტორო კვლევის პერიოდში უწევთ, რაც ნეგატიურად აისახება მათ სწავლის ხანგრძლივობაზე ან სადოქტორო ნაშრომების ხარისხზე (ამ პროგრამის კურსები ტარდება 19:00-დან 21:00 სთ-მდე). თუმცა, მოთხოვნაზე ორიენტირებული კვლევითი გრანტების სისტემა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს მოიპოვონ 2000 ლარამდე ოდენობის დაფინანსება საკუთარი კვლევის ჩასატარებლად, რაც კარგი გამოცდილებაა კვლევითი პროექტის წინადადების მომზადებაში. საქართველოს უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ფინანსურ მხარდაჭერას კვლევის შედეგების განსამტკიცებლად, თუმცა პროგრამის წლიური ბიუჯეტის ის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია დოქტორანტების პროფესიული განვითარებისთვის საჭირო კვლევის დაფინანსებაზე ან ღონისძიებების ორგანიზებაზე არ არის მკაფიოდ დასახელებული ფინანსურ ანგარიშში. თუმცა, ჯერჯერობით რუსთაველის ფონდიდან ან სხვა კვლევების დამფინანსებელი დაწესებულებებიდან დაფინანსება არ ყოფილა მიღებული. ეს ძირითადად ხდება იმის გამო, რომ ზედამხედველი პერსონალი აქტიურად არ არის ჩართული არცერთ კვლევით პროექტში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: თვითშეფასების ანგარიში, პროგრამის ფინანსური გეგმა, ინტერვიუ უნივერსიტეტის მენეჯმენტთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: 4.4.1 სუ-ს და სკოლის მენეჯმენტმა უნდა განიხილონ, თუ რა გზებით შეუძლიათ თავიანთი აკადემიური პერსონალის მხარდაჭერა, რათა უფრო აქტიურად ჩაერთონ კვლევის დაფინანსების მოპოვებაში, რაც, რა თქმა უნდა, საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად საკუთარი კვლევის დღის წესრიგის შემუშავებასთან იდეალურად დაკავშირებულია.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5: სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მომსახურებებს და ასევე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და მიმოხილვას. რეგულარულად ხდება საჭირო ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება და გამოყენება გააზრებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხი
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სამსახურთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვაში, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასა და შეფასების შედეგების ანალიზში. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა ხორციელდება უწყვეტი ხარისხის გაუმჯობესების შესახებ საქართველოს უნივერსიტეტის მითითებების თანახმად. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს პროგრამის თვითშეფასების პროცესის მთავარ ნაწილს. თვითშეფასების გუნდი შედგება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისგან. ხარისხის შეფასების პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისგან: პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტების შეგროვება; პროგრამის ხარისხის შეფასების გეგმა; აკადემიური მოსწრების ანალიზი; სტუდენტების პროგრამით კმაყოფილების გამოკითხვა; პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის შეფასება; შემდეგ ეტაპზე, პროგრამის აკადემიურ პერსონალთან პროგრამის დიზაინის და სასურველი

მოთხოვნების შესახებ განხორციელებული კონსულტაციების შედეგად, იგეგმება პროგრამის მიღწევების გაუმჯობესებისთვის ღონისძიებები; თვითშეფასების ჯგუფი. შემდეგ ისინი იღებენ უკუკავშირს ხარისხის უზრუნველყოფის ოფისი. როგორც საბოლოო ეტაპი, პროგრამის საბოლოო ვერსია წარედგინება აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად. ამავდროულად, მეთოდოლოგია (განსაკუთრებით გამოკითხულთა ნიმუში, კვლევის სისტემატური ხასიათი) არ არის მკაფიოდ აღწერილი ანგარიშში. სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალს და პოტენციურ დამსაქმებლებს ძირითადად, აქვთ წერილობითი უკუკავშირი. ამასთან, თვითშეფასების ანგარიში შეიცავდა გარკვეულ ხარვეზებს და შეუსაბამობებს (მაგ., აკლდა პუბლიკაციების სია, შეუსაბამო CV-ები). ანგარიშში არ იყო მითითებული შეფასების გუნდის ასახვის პროცესი. აკლია ცხადად ჩამოყალიბებული შეფასების კრიტერიუმები, მაგალითად: საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციების რაოდენობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ თვითშეფასების ანგარიში, სუ ინსტრუქცია ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების შესახებ, ინტერვიუები თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: 5.1.1 პროგრამის გუნდი უნდა შეეცადოს ხარისხის უზრუნველყოფის გუნდთან ერთად შექმნას თვითშეფასების ეფექტური გზა, რათა გაიზომოს მათი პროგრესი ერთობლივად შემუშავებული ინდიკატორების მეშვეობით.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხი
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამამ EQE-ს აკრედიტაციის პროცესი გაირა ხუთი წლის წინ. ხელახალი აკრედიტაციის პროცესის დაწყებამდე პროგრამა გაეგზავნა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სოხუმის უნივერსიტეტის სამ ექსპერტს. სამივე ექსპერტმა გასცა დეტალური პასუხი შესაბამის კითხვარებზე, შესაბამის რჩევებთან ერთად. ყველა მათგანმა მაღალი შეფასება მისცა პროგრამას და მიიჩნია, რომ პროგრამის მიზნები და შედეგები მიღწევადია. პროგრამა ასევე გაეგზავნა პოტენციურ დამსაქმებლებს: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი და ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. სამივე დაწესებულებამ შეავსო კითხვარი და მოიწონა პროგრამა. პოტენციურ დამსაქმებლებთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ მათ კითხვარები გაეგზავნათ და შეავსეს. რაც შეეხება უცხოურ შეფასებას, ასეთს ადგილი არ ჰქონია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ თვითშეფასების ანგარიში, გარე ექსპერტთა შეფასების ანალიზი, პოტენციური დამსაქმებლების შეფასების ანალიზი, გასაუბრება პოტენციურ დამსაქმებლებთან
რეკომენდაციები: 5.2.1 საზღვარგარეთის (ევროპა და აშშ) სამეცნიერო საზოგადოებაში ჩართული დარგის საერთაშორისო ექსპერტების მიერ განხორციელებული გარე შეფასება ხელს შეუწყობს პროგრამის სრულყოფას, დოქტორანტურის სტუდენტებისა და ხელმძღვანელების საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის გზების მოძიებას, რომლებიც თანამშრომლობითა და უწყვეტი ინტერაქციით იმუშავებენ საკვლევ თემებზე. ეს ასევე გამოსადეგი იქნება სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის პროცესში, ასევე სკოლის/უნივერსიტეტისთვის კვლევითი განვითარების სტრატეგიის შედგენაში.
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული განხილვა
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემატური შეგროვებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტი სისტემატურად ატარებს პროგრამის მონიტორინგს. სემესტრის ბოლოს, სტუდენტები აფასებენ კურსებს, ხოლო პერსონალი იძლევა რეკომენდაციებს პროგრამის კურიკულუმთან დაკავშირებით. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა შეავსეს სპეციალური კითხვარები, ხელახალი აკრედიტაციის პროცესის დაწყებამდე. მათ შედეგებზე დაყრდნობით, პროგრამაში დაინერგა რამდენიმე არჩევითი კურსი. ასევე, სტუდენტებსა და პერსონალს შეუძლიათ საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირება მიმდინარე საკითხებზე “My UG”-ის (სტუდენტებისთვის), ხოლო პერსონალს "Online UG"-ს მეშვეობით. პოტენციურ დამსაქმებლებს ასევე სთხოვეს კითხვარების შევსება და გარკვეული რეკომენდაციების გაკეთება, თუმცა როგორც პროგრამიდან ჩანს, პერსონალმა მათი რჩევები არარელევანტურად მიიჩნია, შესაბამისად, ამ მხრივ ცვლილებები არ განხორციელებულა.

სადოქტორო პროგრამისათვის, რომელზეც სტუდენტთა შეზღუდული რაოდენობაა, კითხვარებით გამოკითხვის ფორმალიზებური პროცედურა საკმაოდ ბიუროკრატიულია. ჩვენ ვერ დავინახეთ უკუკავშირის რაიმე სხვა, უფრო მონაწილეობრივი ფორმა. დოქტორანტებს,
ასევე, ექსტრაკურიკულური - არააკადემიური სამუშაო ვალდებულებების გამო, აქვთ შეზღუდული დრო პროგრამის გაუმჯობესებაში უფრო აქტიური მონაწილეობის მისაღებად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში, ინტერვიუები მენეჯმენტთან, სტუდენტებთან, პერსონალთან და პროფესორებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

5.3.1. სასურველია განიხილოთ სტუდენტთა წარმომადგენლობა პროგრამის ყველა შესაბამის ორგანოში, განსაკუთრებით აკადემიურ და სამეთვალყურეო საბჭოში.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სადოქტორო პროგრამა "ისტორია"

ანგარიშის გვერდების რაოდენობა: 26

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული და მიღწევადია; ისინი შესაბამისობაშია უსდ-ს მისიასთან და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება		X		
3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ოლივერ რაისნერი, ხელმოწერა

ექსპერტთა პანელის წევრები

თეიმურაზ პაპასკირი, ხელმოწერა

თეონა კუპრაძე, ხელმოწერა